ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1928 წლის მაისის 6.	№ 10 განყოფილება პირველი	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

შინაარსი:

მუხ. 104. სამუშაო ხელფასის განსაკუთრებული ფონდების დაარსებისა და 1927-28 წლის მეორე ნახევარწლისათვის საამიერკავკასიო და რესპუბლიკური მნიშვნელობის დაწესებულება და საწარმოში სპეციალისტთა შრომის სასყიდლის გაღების წესის შესახებ.

„ 105. წყალთა მეურნეობის ორგანოების გამოკვლევის შესახებ.

„ 106. ინსტრუქცია ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის მიერ „წითელი არმიის არსებობის ათი წლის თავის აღნიშვნის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-2 მუხ. განხორციელების წესისა და პირობების შესახებ.

„ 107. უცხოელთა საცხოვრებელი დოკუმენტის დებულების დამატების შესახებ.

„ 108. ა/კსფსრ-ში წვრილი ადგილობრივი და სოფლის ელექტროფიკაციის პროექტების შედგენისა და დამტკიცების წესების შესახებ.

„ 109. ბავშვთა ბაგების შესანახად სამრეველო საწარმოთათვის სამუშაო ხელფასის თანხის $^1/_4$%-ს გადახდევინების შესახებ.

„ 110. ინტერნაციონალის დღის აღსანიშნავად დანიშნული სადღესასწაულო დღეების შესახებ.

„ 111. ა/კსფსრ-ში სატარიფო ზოლების დადგენის წესის შესახებ.

„ 112. ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „დაზღვეულთათვის სამკურნალო დახმარების მოწყობის თაობაზე„ 1928 წ. თებერვლის 9-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-6 მუხ. შეცვლის შესახებ.

„ 113. დებულება ა/კსფსრ-ში კოოპერაციისათვის მისაცემი გრძელვადიანი კრედიტის ფონდების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. აპრილის 18. № 67

104. სამუშაო ხელფასის განსაკუთრებული ფონდების დაარსებისა და 1927-28 წლის მეორე ნახევარწლისათვის საამიერკავკასიო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის დაწესებულებაში და საწარმოში სპეციალისტთა შრომის სასყიდლის გაღების წესის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სამუშაო ხელფასის განსაკუთრებული ფონდების გამოყენების წესისა და სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა და სახელმწიფო კაპიტალის უპირატესი მონაწილეობით მომქმედ შერეულ სააქციონერო საზოგადოებათა მომუშავეთათვის პერსონალური ჯამაგირის დანიშვნისა და სპეციალური საქმის შესრულებისათვის განსაკუთრებული გასამრჯელოს მიცემის წესის შესახებ“ 1928 წ. აპრილის 7-ს თარიღითა და 26 №-ით გამოცემული (გამოქვეყნებულია გაზ· “ზარია ვოსტოკა“-ს 83 (1749) №-ში 1928 წ. აპრილის 10-ს) დადგენილების თანახმად—ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ყველა საამიერკავკასიო მნიშვნელობის დაწესებულებასა და საწარმოს, რომელზედაც ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის აპრილის 7-ს თარიღისა და 26 №-რის დადგენილება ვრცელდება, წარადგინოს არა უგვიანეს ა/წ. მაისის 1-სა განცხადება მისთვის საჭირო სამუშაო ხელფასის განსაკუთრებული ფონდის შესახებ—ორ ცალად, რომელთა შორის განცხადების წარმდგენელი ორგანო ერთ ცალს გაუგზავნის სათანადო პროფესიონალურ კავშირს დასკვნისათვის, ხოლო მეორეს წარუდგენს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს დასამტკიცებლად.

2. წინადადება მიეცეს ყველა რესპუბლიკანური მნიშვნელობის დაწესებულებასა და საწარმოს წარადგინოს არა უგვიანეს 1928 წლის მაისის 1-სა განცხადება მისთვის საჭირო სამუშაო ხელფასის განსაკუთრებული ფონდის შესახებ—ორ ცალად, რომელთა შორის განცხადების წარმდგენელი ორგანო ერთ ცალს გაუგზავნის სათანადო პროფესიონალურ კავშირს დასკვნისათვის, ხოლო მეორე ცალს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატს დასამტკიცებლად.

3. დადგენილება ესე არ გავრცელდება ისეთ დაწესებულებასა და საწარმოზე, სადაც განხორციელებულია სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვა, სათანამდებობო ჯამაგირების სისტემა კოლექტიური ხელშეკრულების მიხედვით, ან და სატარიფო ქსელი სპეციალისტებისათვის.

4. სამუშაო ხელფასის დამატებითი ფონდის დამტკიცების შესახებ წარსადგენი განცხადების ფორმა და 1927-28 წლის 1-ლი ნახევარწლისათვის გაცემული ფონდის დახარჯვის ანგარიშის ფორმა უნდა მიიღონ: საამიერკავკასიო მნიშვნელობის დაწესებულებამა და საწარმომ—ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატარიფო-საკონფლიქტო განყოფილებაში, ხოლო რესპუბლიკანური მნიშვნელობის დაწესებულებამა და საწარმომ—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიტში.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის სატარიფო-საკონფლ. განყოფ. გამგე **სიზოტენკო.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა„-ს 90 №-ში 1928 წ. აპრილის 19-ს.

დადგენილება № 10 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

105. ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მოხსენების გამო — ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის ორგანოების გამოკვლევის შესახებ.

I. მოისმინა-რა ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოხსენება წყალთა მეურნეობის ორგანოების 1925-26 და 1926-27 წლებში მოქმედების გამოკვლევის შესახებ, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო საჭიროდ სთვლის აღნიშნოს, რომ ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის ორგანოების მუშაობაში მიმდინარე საოპერაციო წლამდე იყო ისეთი ობიექტიური მიზეზები, რაც უარყოფითი გავლენას ახდენდა მათ წარმატებით მუშაობაზე საერთოდ, სახელდობრ:

1) კომპეტენცის არგანსაზღვრა და ურთიერთობის მოუწესრიგებლობა რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოებსა და ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს შორის;

2) სტიქიურობა მთელ რიგ წყალ-სამეურნეო ღონისძიებათა დაწყებაში ისეთ დროს, როდესაც გეგმიანობის პრინციპი ჯერ არ არსებობდა;

3) უქონლობა საკმარისი სამეცნიერო-სატექნიკო ბაზისისა და გამოცდილებისა ა/კსფსრ-ში დიდი წყალ-სამეურნეო მუშაობის გაშლისათვის;

4) არყოლა კვალიფიციური სპეციალისტების საჭირო კადრისა, განსაკუთრებით ადგილობრივ ერთა შორის;

5) გამოურკვეველობა ფინანსიურად მოგვარებისათვის საჭირო წყაროებისა და მოუწესრიგებლობა წყალ-მშენებლობის ფინანსიურად მოგვარების სისტემისა და წესისა.

II. ზემოაღნიშნული ობიექტიური მიზეზების გამო და მთელი რიგი ნაკლისა და დეფექტებისა ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის ორგანოების ხელმძღვანელობის საქმეში და მუშაობაში (რაც ქვემოდაა აღნიშნული), გამოკვლეული პერიოდის განმავლობაში დახარჯულმა სახელმწიფო სახსარმა, რაც, ცოტა-მეტობის შემოფარგლით, 14.065.000 მან. უდრის, არ მოგცა ჯეროვანი ეფექტი, სახელდობრ;

ა) შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმებით (1925-26 და 1926-27 წლებისათვის) 1927-28 წელს დამთავრებული უნდა ყოფილიყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

9 სამუშაო, რაზედაც უნდა დახარჯულიყო 3.350.000 მანეთამდე და რასაც უნდა მოეცა 77.000 დესეტინის სივრცის სარწყავი.

ფაქტიურად 9 სამუშაოდან 2 სამუშაო (ელდარი და ზანგის დაგუბება) სრულიად გაჩერებულია და დახარჯულია 126.000 მან.

პირველ სამუშაოს (ბალა-დიდში 6.000 დეს. დაშრობას), საამისოდ გადადებული 500.000 მანეთიდან 80%-ს სხვა სამუშაოზე დახარჯვის გამო, ნამდვილად მხოლოდ ახლა იწყებენ.

დანარჩენი ექვსი სამუშაო (ტიროფონი, გიაურ-არხი, დიღომი, სამურზაყანო, ეჩმიაძინი, შირაქის არხის მე-III უბანი), სამუშაოთა მოცულობისა და მათი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადიდებისა, საბოლოო პროექტების უქონლობისა და გეგმების არარეალობის გამო, ვადაზე ვერ იქნა მოთავებული, ხოლო ორი მათგანი (გიაურ-არხი და ტირიფონი) შეიძლება დამთავრებულ იქნეს მხოლოდ უახლოეს ხუთ-წლედში.

ბ) შრომისა და თავდაცვის საბჭოს იმავე გეგმებით წარმოებული უნდა ყოფილიყო მუშაობა 8 სამუშაოსათვის იმ პირობით, რომ მუშაობა დამთავრებული იქნებოდა 1927-28 და 1928-29 წლებში და მოგვცემდა 106.000 დეს. სარწყავს; ამ სამუშაოებისათვის გადადებული იყო 4.960.000 მან.

ფაქტიურად ამ 8 სამუშაოდან ოთხი (სამხრ.-აღმ. შირვანი, ტერ-ტერისა, ბეიუკ-დუზისა და არაზდაიანის რეკონსტრუქცია) ჯერ დაწყებული არ არის და გადადებულ ასიგნვათა დიდი ნაწილი გამოყენებულია სხვა სამუშაოზე.

ორ სამუშაოდან (ყარა-სახკალი და ალაზანი) ვადაზე მზად იქნება მხოლოდ პირველი უბნები, რაც თითქმის ნავარაუდევი სივრცის ერთ მესამედსაც არ მოგვცემს; ხარჯი გაცილებით აღემატება გადადებულ ასიგნვებს.

მე-7 სამუშაოს (3.000 დეს. კალმატაცია ფოთში) სამშენებლო მუშაობა დამთავრებულია; დახარჯულია 128.000 მან.; ხოლო ეფექტიობის ვადები განსაზღვრული არ არის და სრულიად გამოურკვეველია.

და შესაძლებელია მხოლოდ, რომ მე-8 სამუშაო (სარდარ-აბადი) დამთავრებულ იქნეს ვადაზე.

გ) მუღანის აღდგენაზე აზერბაიჯანის წყალთა მეურნეობის სამმართველომ დახარჯა 2.500.000 მან., მაშინ, როდესაც შრომისა და თავდაცვის საბჭოს იმავე გეგმებით 1925-26 და 1926-27 წლებისათვის გადადებული იყო 1.900.000 მან.; ამასთანავე, მიღებული ეფექტი, რაც, საინჟენერო სისტემების მიხედვით, 16.000-დან 17.000-დე დესეტინა მარტო საბამბე მიწის (ხოლო საერთოდ-კი 44.000 დესეტინის) მორწყვას უდრის, უზრუნველყოფილი და განმტკიცებული არ არის, რამდენადაც მარტო მაგისტრალების გაწმენდის სამუშაოს შესრულებას, სათანადოდ განვითარებული ქსელისა და წყალსაგდებების (კოლექტორების) უქონლად, თანაც როცა წყლის სარგებლობის სისტემა მეტის-მეტად არა-რაციონალურია და არაორგანიზული, არ შეუძლიან მოგვცეს მთელი ის ეფექტი, რაც მაგისტრალებშია, და არ შეუძლიან უზრუნველჰყოს მიწები დაჭაობებისა და დამლაშებისაგან შემდეგში.

ამრიგად, სხვადასხვა სამუშაოთა შორის, რომლისთვისაც შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ გადადებულია 14.065.924 მან., უკვე გასული ვადისთვის შესრულებული არ არის 3.350.000 მან. ღირებული სამუშაო—23,9 პროც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზრუნველყოფილი არ არის, რომ ვადაზე შესრულებული იქნება 4.960.000 მან. ღირებული სამუშაო—35,4 პროც.

ჯერ კიდევ არა-სრული და არა-მტკიცე ეფექტები მოგვცა მუღანში 2.500.000 მან. ღირებულმა სამუშაომ—17,9 პროც.

ცენტრალური აპარატების შენახვაზე დახარჯულია 1.800.000 მან.—13,4 პროცენტი.

გამოკვლევებზე, პროექტების შედგენაზე და სხვა მუშაობაზე დახარჯულია 1.375.000 მან.—9,4 პროც.

სულ 14.065.000 მან.—100 პროც.

მაშასადამე, ეჭვი არ არის, რომ ტიტულების სიმრავლისა, მთელი რიგი მუშაობის ადრეულად დაწყებისა, დიდ სამუშაოთა დაუმთავრებლობისა, მუშაობის წარმოების დროს თვალსაჩინო სახეცვლილისა და მასალის იმპობილიზაციისა, ამა თუ იმ სამუშაოს დამთავრების ვადების გაგრძელებისა და სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადიდების აუცილებლობის გამო, გაწეული ხარჯების მოსალოდნელი ეფექტივობა არ გამართლდა.

ამასთან ერთად, ა/კ. სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ მთავრობისა, კოოპერაციისა და გლეხების ძალღონით, ამა თუ იმ ცალკე შემთხვევაში წყალთა მეურნეობის ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, აღდგენილია ალაგობრივი ქსელი (წყალთა მეურნეობის ორგანიზაციებისა და ა/კ. მებამბეობის კომიტეტის ცნობებით) და იმავე ცნობებით მიღწეულია თითქმის ომამდე არსებული სივრცის მორწყვა.

რაც შეეხება ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს, ა/კ. სახალხო კომისართა საბჭო საჭიროდ სთვლის აღნიშნოს, რომ უკანასკნელ ხანში (5-6 თვე) სჩანს აპარატის შედგენილობის თვისების ზოგი-რამ გაუმჯობესება, რომ შემუშავებულია მთელი რიგი კანონდებულებანი, რითაც მოწესრიგდება ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის ორგანოების ურთიერთობა, და გაძლიერებულია გეგმიანობის მომენტი.

ხოლო ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს უკვე გამორკვეული დეფექტები მიეკუთნება ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს წარსულ მუშაობას.

III. ა. ამასთან ერთად, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის ორგანოების მუშაობაში მთელ რიგ არსებით ნაკლულოვანებათ, სახელდობრ:

1) ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის ორგანოების აპარატებმა ვერ მოახერხეს მათთვის დასახული მიზნის შესრულება და ვერ დასძლიეს მათთვის დაკისრებული სამუშაო, თუმცა საამისო უფლებრივი და ფინანსიური შესაძლებლობა ჰქონდათ;

2) სათანადო ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა არ არსებობდა, აგრეთვე აპარატში და სამუშაოთა ადგილებზე ფუნქციები საჭიროებისამებრ არ იყო განსაზღვრული, რამაც შექმნა მდგომარეობა ხელმძღვანელი პერსონალის უპასუხისმგებლობისა თავისი მუშაობის შედეგისათვის;

3) წყალთა მეურნეობის ორგანოების მუშაობას მშენებლობისა, მომარაგებისა, ფინანსიურად მოგვარებისა და ექსპლოატაციის სფეროში ჯერ კიდევ აქვს უგეგმობისა და უსისტემობის ხასიათი:

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

4) შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ დამტკიცებულ ოპერატიულ გეგმებს წყალთა მეურნეობის ორგანოები სისტემატიურად არღვევდნენ და არ ასრულებდნენ.;

5) საწარმოო-საკალენდრო გეგმების არქონა ფართო შესაძლებლობასა ჰქმნიდა სახსარის მეურნეობრივი დაუდევრობით გამოყენებისათვის;

6) წყალთა მეურნეობის სამმართველოები, ბიუჯეტების შესრულების დროს, სისტემატიურად არღვევდნენ საბიუჯეტო დისციპლინასა და კასის ერთიანობის პრინციპს; ამასთანავე, აზრბაიჯანის წყალთა მეურნეობის სამმართველომ იხმარა არა კანონიერი ხერხი და საშუალება კრედიტების დამალვისათვის მით, რომ „პირადი მიმდინარე ანგარიშები“ გაუხსნა თავის და გარეშე თანამშრომელთ, ფიქტიურად გადაგზავნა სამუშაოთა ადგილებზე ფული და შემდგომ გააუქმა ეს გადაგზავნა, დაურიგა სახელმწიფო ორგანიზაციებს ბეები და ფული შემდეგში დაიბრუნა;

საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოც აწარმოებდა პრაქტიკას წინასწარ ბეების დარიგებისას ფულის შემდეგში დაბრუნებით; ამასთანავე, სამუშაოთა უფროსებს ცირკულიარულად მიწერილი ჰქონდათ ასეთი ხერხი ეხმარათ კრედიტების დაფარვისათვის.

7) რესპუბლიკანური წყალთა მეურნეების სამმართველოების მშენებლობაში შემჩნეულია:

მეურნეობრივი დაუდევრობა (მუშაობის წარმოება საბოლოო პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების უქონლად, ზედმეტი და ადრეული დამზადება დიდი თანხის მასალებისა, მუშაობის გაძვირება საქმის უუნარო მოწყობის გამო, მექანიზაციის უხერხული გამოყენება და სხვ.);

უგულებული მოპყრობა საქმისადმი (ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის გაუწევლობა მუშაობისათვის, მასალის უმუყიათო შენახვა და გაფუჭება, სამუშაოს შეუფერებლად და დაუდევრად მიღება);

საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ ნარდათ მომუშავეებთან არახელსაყრელ ხელშეკრულებათა დადება და მათი სისტემატიური დავალიანება (ალაზნისა და ტიროფონის სამუშაოთა ძვირად შეფასება, ალზნის სამუშაოში ხელშეკრულებისა და საჯარო ვაჭრობის შედეგის შეუსაბამობა, ნარდათ მომუშავისა და ორგანიზატორის ერთ პიროვნებაში შეთავსება და მისი სისტემატიური დავალიანება);

8) საექსპლოატაციო მოქმედება აქამდე მოგვარებული როდია და წყლის სარგებლობის საკითხები აქამდე მოწესრიგებული და ჩამოყალიბებული არ არის ორგანიზაციულად და უფლებრივად; ამის შედეგია, რომ მომქმედი სისტემები სათანადო ეფექტს ვერ იძლევიან, ხოლო ამა თუ იმ ადგილას მორწყვა ნიადგს ამლაშებს და მიწებს აჭაობებს, ადგილ-ადგილ-კი თვით კულტურებსაც სპობს (ევჯილიარი, საბჭოთა არხი, მაშველი, მუღანი და სხვ.).

Ბ. 1) დამტკიცებულ იქნეს პრაქტიკული ღონისძიებანი რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოებისა და ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოსათვის, რაც შემუშავებულია ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ და შეთანხმებულია რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექ-

ციებთან, და წინადადება მიეცეს რესპუბლიკებს დაუყოვნებლივ შეუდგნენ ამ ღონისძიებათა განხორციელებას.

2) ეცნობოს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებსა და ეკონომიურ თათბირებს, რომ შეუწყნარებელია ცენტრის მიერ დამტკიცებული ოპერატიული გეგმების შეცვლა და აგრეთვე ცალკე ტიტულების ასიგნავთა შეცვლა.

3) რადგენაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მუღაღნში სარწყავი მიწების აღსადგენად წარმოებული მუშაობით მიღწეული ეფექტის განმტკიცების საკითხს და აგრეთვე ამ მიწების შეგუებისა და დასახლების საკითხებს, საჭიროდ იქნეს ცნობილი:

1) დაევალოს ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს:

ა) გადასინჯოს მუღანის ხუთწლიანი გეგმა იმ სამუშაოთა გასაძლიერებლად, რაც უზრუნველჰყოფს სისტემების უფრო რაციონალურ ექსპლოატაცია;

ბ) შეუდგეს, აზერბაიჯანის წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან ერთად, მუღანის სისტემების წყლის მოსარგებლეთა ორგანიზაციას და შეიმუშაოს ღონისძიებანი წყლის სარგებლობის სისტემის მოსაწესრიგებლად;

გ) შეიმუშაოს, აზერბაიჯანის წყალთა მეურნეობის სამართველოსა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად, ღონისძიებანი მუღანში გადასახლების საქმის მოსაწესრიგებლად.

2) დაევალოს ა/კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციას მეთვალყურეობა გაუწიოს ამ ღონისძიებათა რეალიზაციას.

3) რადგანაც მუღანში შემჩნეული მტაცებლური ექსპლოატაცია სისტემებისა რამოდენადმე შედეგია მოსახლეობის უკულტურობისა და არა-საკმარისი თვითმოქმედებისა, მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებს მიიღონ ღონისძიება სისტემატიური მუშაობის მოსაწყობად წყლის სარგებლობის მოწესრიგებისათვის, მოსახლეობის წყალთა სისტემებზე აღზრდა-მომზადებისათვის, მისი თვითმოქმედების განვითარებისათვის, ორგანიზობისათვის და დისციპლინის განმტკიცებისათვის.

4) დაევალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებს შეიმუშაონ ღონისძიებანი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოების მუშაობის გაზუსტებისა და დაკავშირებისათვის სარწყავი მიწების ექსპლატაციისა, შეგუებისა და დასახლების სფეროში.

5) მიენდოს ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს შეიმუშაოს, ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და ა/კ. მუშაათა გლეხთა ინსპექციასთან ერთად, პროექტი წყალთა მეურნეობის მშენებლობის ფინანსიური წყაროების საკანონმდებლო წესით ჩამოყალიბებისა და ფინანსიურად მოგვარების მტკიცე სისტემის და წესის დამყარებისა.

6) წინადადება მიეცეს ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს შეიმუშაოს პროექტი დადგენილებისა იმ სპეციალისტთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომელნიც წყალთა მეურნეობის ორგანოებში მუშაობენ, მათი უფლება-მოვალეობის განსაზღვრით, და, ა/კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან და დაინტე-

№ 10 ეროვნული ბიბლიოთეკა

რესებულ ორგანოებთან შეთანხმებით (ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი, ა/კ. პროფკავშირთა საბჭო და სხვ.), წარუდგინოს დასამტკიცებლად ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს.

7) საჭიროდ იქნეს ცნობილი წყალთა--სატეხნიკო საბჭოს რეორგანიზაცია იმ მიმართულებით, რომ იგი გძალიერებულ იქნეს როგორც ამიერკავკასიისა, ისე კავშირის საუკეთესო და ავტორიტეტიანი მომუშაველებით და რომ შეიცვალოს მუშაობის მეთოდი, რაც უზრუნველჰყოფს წყალთა სატეხნიკო საბჭოში შეტანილი პროექტებისა და საკითხების ეფექტიურად და გულმოდგინეობით განხილვას.

Ძ) აღნიშნავს-რა, რომ ზემოდ ჩამოთვლილი დეფექტები შედეგია მეურნეობრივი დაუდევრობისა, მოვალეობისადმი გულგრილობისა და უხეირო ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობისა, ა/კ. სახალხო კომისართა საბჭო ამტკიცებს ა/კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და აზერბაიჯანისა, საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციების დადგენილებას:

ა) აზერბაიჯანის წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიმართ:

მოხსნილ იქნენ თანამდებობიდან: აზერბაიჯანის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი ამხ. სეით-ბეილი, ტეხნიკური განყოფილების უფროსი ინჟ. კონდრატიევი, აზერბაიჯანის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. ბადამინი, ყარა-სახკალის არხის სამუშაოთა უფროსი ინჟ. სოლდათოვი, ყარა-სახკალის არხის სამუშაოთა ოროსის მოადგილე ინჟ. შელეხოვი, ტეხნიკოსი ფეოდოროვი, აზერბაიჯანის წყალთა მეურნეობის სამმართველოს მთავარი ბუხჰალტერი ფურმანი და საკონტროლო განყოფილების უფროსი არუტჩევი.

ყველა მასალა ბოროტმოქმედების შესახებ გადაეცეს პროკურატურას იმის გამოსარკვევად, თუ რომელი დამნაშავე პირი უნდა იქნეს პასუხისგებაში მიცემული სასამართლოს წესით.

ბ) საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიმართ:

გამოეცხადოს საყვედური საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსს ამხ. ბახტაძეს, ალაზნის სამუშაოთა უფროს ინჟ. მამრაძეს, ალაზნის სამუშაოთა უფროსის ყოფილ მოადგილეს ინჟ. ნაბოკიხს, ფოთის სამუშაოთა ყოფილ უფროსს ინჟ. ვოლჩანეცკის, სამუშაოთა ინსპექტორს პროფ. მიკულინს, კონტროლიორ მგალობლიშვილს და მთავარ ბუხჰალტერს ჩირიკაძეს.

გ) სომხეთის წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიმართ:

სომხეთის წყალთა მეურნეობის სამმართველოს ხელმძღვანელთა ყურადღება მიექცეს იმ გარამოებას, რომ საჭიროა მიღებულ იქნეს სასწრაფო ღონისძიებანი გამოკვლევაში აღნიშნული დეფექტების თავიდან ასაცილებლად.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭ. საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. თებერვლის 18. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტ.“-ს 42 N-ში 1928 წ. თებერვლის 19-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 33 ა/კსფსრ სახალხო კოვიესართა საბჭოსი.

106. ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის მიერ „წითელი არმიის არსებობის ათი წლის თავის აღნიშვნის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-2მუხლის განხორციელების წესისა და პირობების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:
დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი ინსტრუქცია.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე **დ. ჭუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭ. საქ. მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. აპრილის 5. ტფილისი-სასახლე.

ინსტრუქცია

ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის მიერ „წითელი არმიის არსებობის ათი წლის თავის აღნიშვნის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის განხორციელების წესისა და პირობების შესახებ.

მყარდება შემდეგი წესი და პირობები ყოფილი წითელი პარტიზანებისა და წითელგვარდიელების (აგრეთვე მათ შემდეგ დარჩენილი ოჯახების) მეურნეობის გაძღოლის შემამსუბუქებელ ღონისძიებათა განხორციელებისა, რა ღონიძიებანიც გათვალისწინებულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „წითელი არმიის არსებობის ათი წლის თავის აღნიშვნის შესახებ“ 1928 წ. თებერვლის 23-ს თარიღით გამოცემული (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-5 №-რი, მუხ. 50) დადგენილების მე-2 მუხლით:

I. სათესლე სესხის დავალიანების მოხსნის შესახებ.

1. ჯერ კიდევ რეგულიარული მეიარაღებული ძალების ორგანიზაციამდე წითელი გვარდიის რიგებში მებრძოლი ყოფილი წითელგვარდიელებისა, და მენშევიკებისა, მუსავატელებისა და დაშნაკების ხელისუფლების დროს მუშათა და გლეხთა საქმისათვის მებრძოლი წითელი პარტიზანების მეურნეობათა, აგრეთვე მათ შემდეგ დარჩენილ მეურნეობათა გამოსარკვევად ადგილობრივ მოეწყობა კომისიები საკრედიტო ამხანაგობისა და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელთაგან; კომისია მოქმედობს უწყებული საკრედიტო ამხანაგობის რაიონში.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული კომისია შეადგენს ყოფილი წითელგვარდიელებისა და წითელი პარტიზანების მეურნეობათა და მათ შემდეგ დარჩენილ მეურნეობათა პერსონალურ (საერთო) სიას.

3. ამ საერთო სიის დადგენის შემდეგ, საკრედიტო ამხანაგობა გამოარკვევს მთელი დავალიანების რაოდენობას, სარგებლისა და საურავის ჩათვლით, რაც 1927 წლის ოქტომბრის 1-თვის 1-ლ მუხლში აღნიშნულ მეურნეობებზე ირიცხება იმ სათესლე სესხისა, რომელიც მიიღეს მათ წინა წლებში როგორც საბიუჯეტო სახსარიდან, ისე სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის სახსარიდან; ამასთანავე, ამ დავალიანებულ მეურნეობებისათვის შედგენილი იქნება განსაკუთრებული სია დავალიანების რაოდენობის აღნიშვნით.

4. მე-2 მუხლში აღნიშნულ საერთო სიას, აგრეთვე ცალკე მეურნეობათა დავალიანების ცნობების შემცველ სიას, ზემოაღნიშნული კომისიის ვიზით, საკრედიტო ამხანაგობა გაუგზავნის ორ ცალად რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკს 1928 წლის მაისის 15-თვის; ამასთანავე, მეურნეობათა დავალიანების სიას ამხანაგობა შეადგენს ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ დადგენილი ფორმით.

აღნიშნულ ფორმაში ცალ-ცალკე უნდა იყო ნაჩვენები ძირითადი დავალიანება და სარგებლისა და საურავის დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხისა და სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სახსარიდან გაცემული სესხისა 1927 წლის ოქტომბრის 1-თვის.

5. რესპუბლიკანური სასოფლო-სამეურნეო ბანკი თითო ცალს მიღებული სიისას და დავალიანების სიისას გაუგზავნის მაისის 20-თვის ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს; ამავე დროს რესპუბლიკანური სასოფლო-სამეურნეო ბანკი შეადგენს სათესლე სესხის მთლად რესპუბლიკაში დარჩენილი დავალიანების საჯუმლო ფორმას და გაუგზავნის ორ ცალად მაისის 30-თვის ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკს, რომელიც, შეათავსებს რა ამ ცნობებს საამიერკავკასიო ჯუმლში, წარადგენს ამ ჯუმლს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში 1928 წლის ივნისის 5-თვის.

რათა ეს განსახორციელებელი ღონისძიება დაკავშირებულ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს პლენუმის 1928 წლის თებერვლის 23-ს დადგენილებასთან „მოუსავლობის გამო 1924-25 საბიუჯეტო წელს გლეხობისათვის სესხად მიცემული ვალის მოხსნის შესახებ“, ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკი, გამოანგარიშების დროს,— გამოარკვევს რა სათესლე სესხით გლეხთა სრულ დავალიანებას 1927 წ. ოქტომბრის 1-თვის,—ანგარიშში მიიღებს იმავე მეურნეობების მიერ 1924-25 საბიუჯეტო წელს, მოუსავლობის გამო, მიღებული სათესლე სესხით დავალიანებას აღნიშნულ რიცხვისთვისვე.

აღნიშნული ცნობების მიღებისთანავე ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი და ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკი წარუდგენენ ამ ცნობებს დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ივნისის 10 ს.

შენიშვნა. აფხაზეთისა, აჭარისტანისა და ნახიჩევანის სსრ რესპუბლიკანური სასოფლო-სამეურნეო ბანკები და მთის ყარაბაღის სასოფლო-სამეურნეო ბანკი ამა მუხლში აღნიშნულ სიებს გაუგზავნიან მაისის 20-თვის უშუალოდ საქართველოს და აზერბაიჯანის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—კუთვნილებისამებრ. დავალიანების ცნობების რესპუბლი-

კის (ოლქის) საერთო ჯუმლში შეთავსების შემდეგ, აღნიშნული ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკანური ბანკები და საოლქო ბანკი გაუგზავნიან ჯუმლებს მაისის 30-თვის უშუალოდ ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეობანკს.

6. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ციფრების დამტკიცების შემდეგ, 1-ლ მუხლში აღნიშნულ მეურნეობათა დავალიანებას, სათანადო ციფრებში გამოხატულს, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი და ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკი ჩამოსწერენ; ამასთანავე, სესხის დასაფარავად შეტანილი თანხები დაბრუნებულ არ უნდა იქნეს.

II. ხარისხოვნი თესლის მიწოდების შესახებ.

7. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატები, არა უგვიანეს აპრილის 30-სა, წარადგენენ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებში დასამტკიცებლად მათ მიერ შემუშავებულ წესებს ამა ინსტრუქციის 1-ლ მუხლში აღნიშნულ მეურნეობათათვის ხარისხოვანი თესლის შეღავათით მოწოდების შესახებ.

III. სამიწათმოწყობო შეღავათების შესახებ.

8. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატები, არა უგვიანეს აპრილის 30-სა, წარადგენენ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებში დასამტკიცებლად მათ მიერ შემუშავებულ წესებს ამა ინსტრუქციის 1-ლ მუხლში აღნიშნულ მეურნეობათათვის იმ სამიწათმოწყობო შეღავათების მიცემის შესახებ, რაც დადგენილია უღარიბეს მეურნეობათათვის.

IV. მე-II და III კარში აღნიშნულ ღონისძიებათა კონკრეტულ განორციელებას აწარმოებენ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატები სასოფლო-სამეურნეო ბანკებისაგან, ამა ინსტრუქციის მენ მუხ. თანახმად, მიღებული სიებით.

V. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ ამა ინსტრუქციის მე-7 და 8 მუხლში აღნიშნული წესების დამტკიცებისა და ყველა განხრახული ღონისძიების განხორციელების შემდეგ, რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები წარადგენენ დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში საანგარიშო ცნობებს 1928 წლის ივნისის 10-თვის.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 91 №-ში 1928 წ. აპრილის 20-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

107. უცხოელთა საცხოვრებელი დოკუმენტის დებულების დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1926 წ. აპრილის 12 ს დამტკიცებული უცხოელთა საცხოვრებელი დოკუმენტის დებულების (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-4 №-რი, მუხ. 636) 23 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნები:

შენიშვნა 1. უცხოელის ჩაწერა შეიძლება მოხდეს მარტოოდენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ ამა დებულების თანახმად მიცემული საცხოვრებელი დოკუმენტით.

შენიშვნა 2. უცხოელის ჩაწერა პროფკავშირისა და ანგარიშგასწორების წიგნაკებით, სამსახურის ადგილიდან მიცემული მოწმობით და აგრეთვე სხვა ანალოგიური დოკუმენტით, რაც სსრკ მოქალაქეთა ჩაწერისათვის მიიღება, არ შეიძლება.

ა/კ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტ. თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭ. თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. აპრილის 11. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 92 №-ში 1928 წ. აპრილის 21-ს.

დადგენილება № 31 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

108. ა/კსფსრ-ში წვრილი ადგილობრივი და სოფლის ელექტროფიკაციის პროექტების შედგენისა და დამტკიცების წესების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი წესები.

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქ. მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. მარტის 30. ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ ე ს ე ბ ი

ა/კსფსრ-ში წვრილი ადგილობრივი და სოფლის ელექტროფიკაციის პროექტების შედგენისა და დამტკიცების შესახებ.

1. წესები ესე შეეხება როგორც ახლად ასაგებ, ისე გასაფართოებელ წვრილ ადგილობრივ და სოფლის ელექტრო-დანადგამებს ძალოვნებით 500 კილოვატამდე.

2. აღნიშნული ელექტრო-დანადგამების პროექტების განხილვას წინ უნდა უძღოდეს მათი ტტუულობითი მოთავსება ადგილობრივი და სოფლის ელექტროფიკაციის სპეერსპექტივო გეგმაში.

შენიშვნა. ეს მოთხოვნა ისეთ სადგურზე, რომლის ძალოვნებაც 50 კილოვატს არ აღემატება, არ გავრცელდება.

3. აღნიშნულ გეგმებს შეიმუშავებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი თვითეული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებული წვრილი ელექტროფიკაციის მომწესრიგებელი მუდმივი კომისია, რომელიც მოეწყობა ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს 1927 წ. სექტემბრის 8-ს დადგენილების თანახმად (იხ. ოქმი № 17, მუხ. 11).

შედგენილ გეგმას კომისია შეიტანს სათანადო სახელმწიფო საგეგმო ორგანოში საერთო წესისამებრ.

შენიშვნა 1. უკეთუ ოპერატიული გეგმა საკონტროლო ციფრებს არ განესხვავება, მისი სახელმწიფო საგეგმო კომისიაში წარდგენა სავალდებულო არ არის.

შენიშვნა 2. სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ივნისის 16-ს დადგენილების (ოქმი № 222, მუხ. 27) თანახმად, ნებართვა ელექტრო-სადგურის სანაპირო ზოლში აგების შესახებ შეთანხმებულ უნდა იქნეს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოსთან.

4. პროექტი შედგენილ უნდა იქნეს მომხდარი გამოკვლევის საფუძველზე და შეიცავდეს:

ა) განმარტებითი წერილს;

ბ) ნახაზებს;

გ) სარჯთაღრიცხვას.

5. თვითეული სადგურისათვის ძალოვნებით 50 კილოვატიდან 500 კილოვატამდე შედგენილ უნდა იქნეს წინასწარი საესკიზო პროექტი და საბოლოო სამშენებლო პროექტი.

შენიშვნა 1. ის მოთხოვნანი, რაც საესკიზო და სამშენებლო პროექტებს შეეხება, აღნიშნულია მე-7 და 8 მუხლებში.

შენიშვნა 2. სამშენებლო პროექტის შედგენაზე ზედმეტი სახსარის დახარჯვის თავიდან ასაცილებლად წინასწარ შედგენილ უნდა იქნეს საესკიზო პროექტი საორიენტო ხარჯთაღრიცხვით. საბოლოო ტეხნიკური პროექტის შედგენა დაწყებულ უნდა იქნეს მხოლოდ საესკიზო პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექტის ამა წესების მე-9 მუხლით გათვალისწინებული წესისამებრ განხილვის შემდეგ.

6. ისეთი სადგურისათვის, რომლის ძალოვნებაც 50 კილოვ. არ აღემატება, საჭიროა მხოლოდ საესკიზო პროექტის წარდგენა.

7. განმარტებითი წერილი უნდა შეიცავდეს:

ა) რაიონის მოკლე აღწერას, სოფლებისა და კომლების აღნიშვნით, ციფრობრივ ცნობებს ამა თუ იმ კულტურების ნათესებისა, შინამრეწველობისა და სამრეწველო საწარმოთა შესახებ, ხოლო ჰიდრავლური დანადგაძისათვის, ამის გარდა, ჰიდრომეტრულ ცნობებს ენერგიის წყაროებისა და ნიადაგის შესახებ;

ბ) უახლოეს პერსპექტივებს რაიონის ეკონომიურად განვითარებისას; ამასთანავე ცნობები ახალ საწარმოთა შესახებ დადასტურებული უნდა იყოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დამოწმებით.

(ვისგან არის ნებადართული და ვის მიერ იქნება ფინანსიურად მოგვარებული ეს საწარმონი, მათი საგულვებელი ნაყოფიერება და სხვ.).

გ) განზრახული სადგურის საგულვებულ რაიონში მომქმედ ძალ-დანადგამთა მოკლე აღწერას;

დ) განზრახული დანადგამის მიმატებული ძალოვნების გამოანგარიშებას ცალკე სახლებისა, ქუჩებისა და დაწესებულებების განათებისათვის, ცალკე მოტორებისათვის, აგრეთვე გამორკვეული ძალოვნების გამოანგარიშებას და დატვირთვის ზრდის გეგმას;

ე) განზრახული დანადგამისათვის ენერგიის წყაროს არჩევის დასაბუთებას, რისთვისაც ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს 1927 წ. სექტემბრის 8-ს დადგენილება, რომლითაც გათვალისწინებულია, რომ უპირატესად გამოყენებულ უნდა იქნეს არსებული ხაზები გადაცემისა და წარმოების ნარჩომები თბო-სადგურებისათვის, ხოლო ჰიდრო-სადგურებისათვის — წისქვილის არხები და სარწყავი არხები (ოქმი № 17, § 11);

ვ) განზრახული ელექტრო-დანადგამის მოკლე აღწერას (ჰიდროტეხნიკური განაწყობი, სადგურის შენობა, პირველადი ძრავები — იმის აღნიშვნით, თუ რატომ იქნა შერჩეული ამა თუ იმ სახის ძრავი; გენერატორების ძალოვნება, დენისა და დაძაბულობის სახე; ენერგიის განაწილების სქემა; დაბალი და საშუალო დაძაბულობის ქსელის განფენილობა; ელექტრო-გადაცემის ხაზის ტრასსა; ელექტროგადაცემის სადენის დაძაბულობისა და კვეთილობის შერჩევა);

შენიშვნა. უკეთუ ძალ-დანადგამი ახლად როდი ეწყობა და მხოლოდ ფართოვდება ან გაწყობილობას იცვლის, საჭიროა განმარტებით წერილში მოთავსებული იყოს მოკლე აღწერა მისი თავის დროზე გაწყობილობისა, საექსპლოატაციო ცნობები და გადაკეთების პროექტის აღწერა.

ზ) ნაგებობისა და კონსტრუქციის ძირითადი ელემენტების გამოანგარიშებას;

თ) ძალ-დანადგამის აგებისა და გაწყობილობის ხარჯთაღრიცხვის განმარტებას, ზედადები ხარჯის მიღებული რაოდენობის აღნიშვნით;

ი) საექსპლოატაციო ხარჯთაღრიცხვის განმარტებას;

კ) ენერგიის თვითღირებულებისა და მომხმარებლისათვის გადაკვეთილი ღირებულების გამოანგარიშებას და საჭირო შემთხვევაში—ჰიდროელექტრონული და თბოელექტრონული ვარიანტების შედარებას;

ლ) ნაგებობის ფინანსიურად მოგვარების გეგმას, —საჭირო თანხების ფინანსიურად მოგვარების წყაროებზე დანაწილებით, მომხმარებელთა მოსამზადებლად საჭირო მუშაობის გეგმასა და ხარჯების დაფარვის გეგმას.

შენიშვნა. დართული უნდა იყოს ადგილობრივი ორგანოების წერილობითი თანხმობა ნაგებობის ფინანსიურად მოგვარებაში ადგილობრივი სახსარით მონაწილეობის მიღების თაობაზე არა ნაკლებ, ვიდრე საერთო სახარჯთაღრიცხვო ჯამის 30%-ს რაოდენობით.

8. ნახაზები უნდა შეიცავდეს:

ა) იმ რაიონის საერთო რუქას, რომელსაც ეკონომიურად იზიდავს ძალ-დანადგარი—სადგურისა და მაღალი დაძაბულობის ქსელის აღნიშვნით;

ბ) სადგურის მოწყობის ადგილის გეგმას—საკმარისად დიდი მასშტაბით, და განზრახულ ნაგებობათა მდებარეობის აღნიშვნით;

გ) ჰიდროტეხნიკურ ნაგებობათა გეგმას;

დ) ნაგებობისა და კონსტრუქციის ცალკე ნაწილების საკმარისად დაწერილებითი ნახაზებსა—სამუშაოთა სიმაგრისა და რაოდენობის შესამოწმებლად;

ე) სადგურისა და ქვესადგურების ელექტრონული შეერთების სქემას.

შენიშვნა. უკეთუ წარდგენილ იქნება საესკიზო პროექტი (იხ. მე-5 მუხ.), ნახაზები დამუშავებულ უნდა იქნეს ნაკლები წვრილმანობით, ხოლო უნდა იძლეოდეს ნათელ წარმოდგენას განზრახული ნაგებობის ცალკე ნაწილების მდებარეობისა და განზრახული ტიპისა და კონსტრუქციის შესახებ.

9. პროექტთან წარდგენილი ხარჯთაღრიცხვა უნდა შეიცავდეს:

ა) სამშენებლო ხარჯთაღრიცხვას,—ყველა განზრახული ნაგებობისა და საჭირო მაღალი და დაბალი დაძაბულობის ქსელის გაწყობილობის ღირებულობის ვანსაზღვრით;

შენიშვნა 1. სამშენებლო ხარჯთაღრიცხვას დაერთვის შეფასების ნუსხები, სამუშაოთა რაოდენობის გამოანგარიშება და მასალისა და მუშახელის ფასების ნუსხები.

შენიშვნა 2. საესკიზო პროექტის წარდგენის დროს (მუხ. 5), ნაცვლად დაწერილებითი სამშენებლო ხარჯთაღრიცხვისა დანართებითურთ, წარდგენილ იქნება მოკლე საორიენტო ხარჯთაღრიცხვა, სამუშაოთა და გაწყობილობის ღირებულების გამოანგარიშებით, რაც შედგენილ უნდა იქნეს მოდიდო საზომებით.

ბ) საექსპლოატაციო ხარჯთაღრიცხვას,—ენერგიის თვითღირებულების გამოანგარიშებით და სადგურის ნავარაუდევი ტარიფებისა და შემოსავალ-გასავლის ბალანსების აღნიშვნით უახლოეს 5 წლისათვის, თვითეულ წელზე დანაწილებით.

10. ახალი დანადგამისა თუ არსებულის გაფართოების პროექტი, შემდგენელის ხელმოწერით, წარედგენება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ წვრილ ელექტროფიკაციის მომწესრიგებელ მუდმივ კომისიას განსახილველად იმ მხრით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) თუ რამდენად შესაბამება პროექტი ადგილობრივი და სოფლის ელექტროფიკაციის ოპერატიულ გეგმას;

ბ) რამდენად დაკავშირებულია პროექტი წყალთა მეურნეობის ინტერესებთან;

გ) როგორია პროექტის ეკონომიური მხარე;

დ) როგორია ფინანსიურად მოგვარებისა და ხარჯების დაფარვის გეგმა.

აღნიშნული კომისია შეიტანს პროექტს თავისი დასკვნითურთ რესპუბლიკანურ საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტში დასამტკიცებლად.

შენიშვნა 1. პროექტის განხილვა კომისიაში და საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტში უნდა გაგრძელდეს არა უმეტეს ერთი თვისა თვითეულ დაწესებულებაში, დაწყებული ყველა საჭირო ცნობების წარდგენის დღიდან.

შენიშვნა 2. მცირე სადგურის, 50 კილოვატამდე, პროექტს დაამტკიცებს მშენებლობის მომწესრიგებელი სამაზრო ორგანო (მაზრის ინჟენერი). მაზრის ინჟენერს უფლება აქვს, უკეთუ საჭირო იქნება, პროექტის განხილვა საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტში გადაატანოს.

11. საესკიზო პროექტი განიხილება საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტში სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებული კომისიის წინასწარი დასკვნით. ხოლო სამშენებლო პროექტი წარიდგინება საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტში უმუალოდ.

12. განზრახული ძალ-დანადგამის განხორციელებისათვის საჭირო სახსარი, რაც გადადებული იქნება რესპუბლიკანური ბიუჯეტით, ადგილობრივი ბიუჯეტით ან საბანკო სესხის სახით, შეიძლება გაცემულ იქნეს არა უადრეს პროექტის დამტკიცებისა და თანაც მხოლოდ ისეთი დანადგამისათვის, რომელიც ტიტულობრივ მოთავსებულია საკონტროლო ციფრებში ან მიმდინარე წლის ოპერატიულ გეგმაში.

13. დანადგამის ასაგებად საჭირო მუშაობის დაწყება, აგრეთვე მასალის დამზადების დაწყება შეიძლება მე-12 მუხლში აღნიშნული პირობების შესრულების შემდეგ.

14. დანადგამის ასაგებად წარმოებულ მუშაობას ზედამხედველობას გაუწევს სამუშაოთა მწარმოებელი იმ პირთაგან, ვისაც უფლება აქვს აწარმოოს სამშენებლო მუშაობა, ხოლო ელექტრო-გაწყობილობის საკმეს ზედამხედველობას გაუწევენ აგრეთვე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ელექტრო-ზედამხედველობის ორგანოები.

სატეხნიკო-საინსპექტორო ზედამხედველობას განახორციელებს საერთო წესისამებრ მშენებლობის ტეხნიკურად მოწესრიგების ორგანო.

15. აგებული დანადგამის ექსპლოატაცია შეიძლება დაწყებულ იქნეს ყველა სამუშაოს დამთავრების შემდეგ და მშენებლობის ტეხნიკურად მოწესრიგების ორგანოსა და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ელექტრო ზედამხედველობის ორგანოს აგენტების მიერ ახლად აგებული დანადგამის შემოწმების აქტის თანახმად.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 93 №-ში 1928 წ. აპრილის 22-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

109. საბავშვო ბაგათა შესანახად სამრეწველო საწარმოთათვის სამუშაო ხელფასის თანხის $^1/_4$%-ს გადახდევინების შესახებ.

„სამრეწველო საწარმოთა მუშა-ქალებისათვის საბავშვო ბაგათა მიერ გასაწევი მომსახურეობის გაძლიერების შესახებ“ 1928 წლის თებერვლის 6-ს თარიღით გამოცემული დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. მე-3 №-რი, მუხ. 32) დასამატებლად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დაწესებულ იქნეს საწარმოთა მონაწილეობა იმ ბაგათა შენახვაში, რომლებიც მომსახურეობას უწევენ მარტოოდენ უწყებული საწარმოს მუშა-ქალებს, ამ საწარმოს სამუშაო ხელფასის ფონდის $^1/_4$%-ს რაოდენობით, იმისდა მიუხედავად, იმყოფება ბაგა საწარმოს ტერიტორიაზე, თუ მის გარეშე.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. აპრილის 11. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 95 №-ში 1928 წ. აპრილის 25-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

110. ინტერნაციონალის დღის აღსანიშნავად დანიშნული სადღესასწაულო დღეების შესახებ.

საერთაშორისო მუშათა დღის—ინტერნაციონალის—სრულის სისავსით აღსანიშნავად, ამიერკავკასის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „სადღესასწაულო დღეებისა და დასვენების განსაკუთრებული დღეების შესახებ“ 1928 წ. მარტის 26-ს თარიღით გამოცემული („ზარია ვოსტოკა“-ს 87 №-რი 1928 წ. აპრილის 14-სა) დადგენილების დასამატებლად: I—შრომის კანონთა კოდექსის (ა/კსფსრ კან. კრ. 1923 წ. მე- 7 №-რი, მუხ. 89) 111 მუხლის ა პუნქტის „ე“ ლიტერი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით: „ე“. მაისის 1-სა და მე-2-ს—ინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერნაციონალის დღეები“ და II—შრომის კანონთა კოდექსის 112 მუხლში სიტყვები „ყოველწლიურად დასვენების განსაკუთრებული ხუთი დღე“ შეიცვალოს სიტყვებით: „ყოველწლიურად დასვენების განსაკუთრებული ოთხი დღე„.

დადგენილება ესე სამომქმედო შემოღებულ იქნეს ტელეგრაფით.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წლის აპრილის 26. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 97 №-ში 1928 წ. აპრილის 27-ს.

დადგენილება ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

111. ა/კსფსრ-ში სატარიფო ზოლების დადგენის წესის შესახებ.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სატარიფო ზოლების დადგენისა და ამ ზოლების მიხედვით სამუშაო ხელფასის სავალდებულო მინიმუმის განსაზღვრის შესახებ“ 1927 წ. ოქტომბრის 29-ს თარიღით გამოცემული (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 64 №-რი, მუხ. 640) დადგენილების თანახმად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ა/კსფსრ ამა თუ იმ ადგილის სატარიფო ზოლისათვის მიკუთვნებას განსაზღვრავს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, წელიწადში ორჯერ: ოქტომბრის 1-სა და აპრილის 1-ლსა.

2. დადგენილებას ა/კსფსრ ადგილების სატარიფო ზოლებისათვის მიკუთვნების შესახებ ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და ამიერკავკასიის პროფესიონილურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, გამოსცემს არა უგვიანეს, ვიდრე ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ვადების ერთი თვით ადრე.

3. ადგილების ზოლებზე დანაწილების შეცვლა წლის მეორე ნახევრისათვის, ე. ი. აპრილის 1-დან (წლის პირველი ნახევრისათვის დაწესებულ დანაწილებასთან შედარებით) შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, ცხოვრების მწვავედ გაძვირების დროს, ისიც—ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს ამა თუ რაიონის ფინანსიური შესაძლებლობა.

უკეთუ აღნიშნული შეცვლა ზოლებზე დანაწილებისა გამოიწვევს ხარჯების გადიდებას ა/კსფსრ ბიუჯეტით, ასეთი ცვლილება წინასწარ შეთანხმებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან.

ა/კ ცენტრალ. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭ. თავმჯდ. მოადგ. **დ. ჭუსეინოვი.**

ა/კ ცენტრალ. აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. აპრილის 11. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 97 №-ში 1928 წ. აპრილის 27-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 32 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

112. **ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „დაზღვეულთათვის სამკურნალო დახმარების მოწყობის თაობაზე“ 1928 წ. თებერვლის 9-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-6 მუხ. შეცვლის შესახებ:**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „დაზღვეულთათვის სამკურნალო დახმარების მოწყობის შესახებ“ 1928 წ. თებერვლის 9-ს თარიღით გამოცემული (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-5 №-რი, მუხ. 44) დადგენილების შესაცვლელად—ამ დადგენილების მე-6 მუხ. მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 6. დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების საგზაო ფონდის სახსარი ამერიკავკასიის რკინის გზების ჯანმრთელობის სამმართველოს განკარგულებაშია და დაიხარჯება მარტოოდენ ისეთ სამკურნალო-საპროფილაქტო დაწესებულებათა მოწყობასა და შენახვაზე, რომელთა დანიშნულებაა მომსახურეობა გაუწიონ დაზღვეულ სატრანსპორტო მუშებსა და მოსამსახურეებსა და მათი ოჯახების წევრებს.

დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების საგზაო ფონდის სახსარი დაიხარჯება იმ გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, რასაც შეადგენს ამერკავკასიის რკინის გზების ჯანმრთელობის სამმართველო და განიხილავს აღნიშნულ სამმართველოსთან არსებული ამერკავკასიის სატრანსპორტო საბიუჯეტო კომისია ამერკავკასიის რკინის გზების ჯანმრთელობის სამმართველოს (თავმჯდომარე), ა/კ. რკ. გზ. პროფკავშირთა საბჭოს, სამედიკო-სასანიტარო განყოფილების მომუშავეთა კავშირისა, ა/კ. რკ. გზ. გამგეობისა და საგზაო დამზღვევი სალაროს წარმომადგენელთა შედგენილობით.

შენიშვნა. სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებათათვის სადგომების მიჩენა და ამ სადგომების კაპიტალური და წვრილი რემონტი სწარმოებს გზათა სახალხო კომისარიატისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების ორგანოების შეთანხმების მე-7 §-ს „გ“ პუნ. თანახმად, რომელი შეთანხმებაც შეეხება ამ ორგანოების ურთიერთობას სარკინისგზო ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეთათვის სამკურნალო-სასანიტარო მომსახურეობის გაწევის სფეროში იმ რკინის გზებზე, რომლებიც ექსპლოატაციაშია და შენებაში („ვესტნიკ პუტეი სოობშჩენია“-ს 849 №-რი 1925 წლისა, ოფიც. განყ.).

ა/კსფსრ სახალ. კომისართა. საბჭოს თავმჯდ. მოადგ. **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართ. **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. აპრილის 5. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 97 №-ში 1928 წ. აპრილის 27-ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 34 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

113. **ა/კსფსრ-ში კოოპერაციისთვის მისაცემი გრძელვადიანი კრედიტის ფონდების დებულების დამტკიცების შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება.

ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს თავმჯდომ. მოადგ. **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალ. კომისარ. საბჭ. საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. აპრილის 3. ტფილისი-სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ა/კსფსრ-ში კოოპერაციისათვის მისაცემი გრძელვადიანი კრედიტის ფონდების შესახებ.

1. რათა ა/კსფსრ-ში დაკმაყოფილებულ იქნეს კოოპერაციის საჭიროება გრძელვადიანი კრედიტისა, სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის განყოფილებებთან აზერბაიჯანში, სომხეთში და საქართველოში დაარსდება ფონდები კოოპერაციისათვის გრძელვადიანი კრედიტის მისაცემად.

ამ ფონდებიდან კოოპერატიულ ორგანიზაციებს მიეცემათ გრძელვადიანი სესხი კაპიტალურ სახარჯავად, საბრუნავი სახსარის გასადიდებლად და ძირითადი და სპეციალური კაპიტალების შესაქმნელად ან გასადიდებლად.

2. კოოპერაციის გრძელვადიანი საკრედიტო ფონდები განაყოფება საერთო და სპეციალურ ფონდებად; საერთო ფონდის სახსარიდან სესხი მიეცემა აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკების კოოპერაციის ყველა სისტემას, ხოლო სპეციალური ფონდიდან სესხი მიეცემა კოოპერაციის უწყებული სისტემის ორგანიზაციებს.

3. საერთო ფონდი შეიქმნება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ თვითეულ რესპუბლიკაში ა/კსფსრ-სა და სათანადო რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებიდან, რისთვისაც აღნიშნულ ფონდში მიიქცევა:

ა) ის დაბრუნებული ასიგნევები, რაც გათვალისწინებულია კოოპერაციის ფინანსიურად მოგვარების კარში, დაწყებული 1927—28 საბიუჯეტო წლის ბიუჯეტიდან;

ბ) სათანადო რესპუბლიკის ხაზინისადმი დავალიანების თანხები იმ დასაბრუნებელი ასიგნებით, რაც გათვალისწინებულია კოოპერაციის ფინანსიურად მოგვარების კარში წინა წლებისათვის;

გ) სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის სათანადო რესპუბლიკანურ განყოფილებაში 1926 წ. ოქტომბრის 1-დან შესული გადასახადები „ბ“ პუნქტში აღნიშნული საბიუჯეტო ასიგნებიდან გაცემული სესხის დასაფარავად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ყოველწლიური პროცენტები, რაც ხაზინას ერგება სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის სათანადო რესპუბლიკანური განყოფილებისაგან იმ საბიუჯეტო სახსართა სარგებლობისათვის, რაც, ამა მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტების თანახმად, მიქცეულია საერთო ფონდში, და აგრეთვე იმ სახსარის სარგებლობისათვის, რაც, ამა პუნქტის თანახმად, გადაიცემა იმავე ფონდში.

შენიშვნა 1. ამა მუხლში აღნიშნული თანხები ჩაირიცხება სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის სათანადო განყოფილებაზე ხაზინისადმი დავალიანების სახით, აგრეთვე იმ სესხის ჩათვლით, რაც „ბ“ პუნ. აღნიშნული ასიგნებიდან გაიცემა და რასაც სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის განყოფილება ჩამოაყალიბებს ამა დადგენილების გამოცემის შემდეგ.

შენიშვნა 2. ამა მუხლის „დ“ პუნქტში აღნიშნული თანხები ყოველ წელს გატარებულ იქნება აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და საგასაღო ნაწილში, ხოლო ფონდიდან ამოღებულად, ვიდრე ხაზინას არ დაებრუნება ფონდისათვის გადაცემული სათანადო სახსარი (მუხ. 5). ამის გარდა, 1927—28 საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის საშემოსავლო და საგასავლო ნაწილში შეიტანება „გ“ პუნ. თანახმად გადახდილი პროცენტები.

შენიშვნა 3. ამიერკავკასიის კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ ყველა, ამა მუხლში გათვალისწინებული წყაროებისაგან შექმნილი თანხები საერთო ფონდისა შევა სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის საქართველოს განყოფილებაში და განაწილდება ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილების თანახმად, ა/კსფსრ ფინინსთა სახალხო კომისარიატის წარდგენით.

4. საერთო ფონდის სახსარიდან გაცემული სესხის პროცენტის რაოდენობად მსესხებლებისათვის დაწესებულია 5% წლიურად, ხოლო სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ორგანიზაციების ძირითადი და სპეციალური კაპიტალებისათვის გაცემული სესხის პროცენტის რაოდენობად დაწესებულია 3% წლიურად აღნიშნული პროცენტებიდან სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის სასარგებლოდ გადაიდება საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად მისი გარანტიის გარეშე გაცემულ სესხზე—1%, ხოლო მისი გარანტიით გაცემულ სესხზე 3%. დანარჩენი პროცენტები დანიშნულია ხაზინის სასარგებლოდ.

იმ სახელმწიფო სახსარისათვის, რაც სრულიად რუსეთის კოოპერატიულ ბანკში ინახება უშუალო მსესხებლებისათვის გადაცემამდე, ბანკი იხდის ხაზინის სასარგებლოდ 5% წლიურად და ეს პროცენტი საერთო ფონდში შედის.

შენიშვნა 1. ცალკეულ შემთხვევაში, 1928-29 საბიუჯეტო წლიდან დაწყებული, კოოპერაციისათვის გრძელვადიანი კრედიტის გაცემის კომიტეტს შეუძლიან, კოოპერატიული სისტემების ცენტრის წარდგენით, გადასინჯოს ამა დებულების გამოცემამდე სახელმწიფო საბიუჯეტო სახსარი დან გაცემული სესხის საპროცენტო განაკვეთები.

შენიშვნა 2. სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის სასარგებლოდ შემოსული, მისი გარანტიით გაცემული სესხის 3%-დან საგარანტიო ფონდში გადაირიცხება არა ნაკლებ 2%-სა.

5. მე-4 მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფო სახსარი დარჩება ფონდში 10 წლის განმავლობაში, 1928-28 წლიდან დაწყებული. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიური თათბირები გადასწყვეტენ საკითხს აღნიშნული სახსარის ხაზინისათვის დაბრუნების შესაძლებლობის შესახებ, და, სათანადო შემთხვევაში, დაადგენენ დაბრუნების წესსა და ვადას ბანკისადმი დავალიანების თანდათანობით გადახდის საფუძველზე.

აღნიშნული დავალიანების დასაფარავად ხაზინაში შესული თანხები გატარებულ იქნება სსრკ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში.

შენიშვნა. რესპუბლიკანურ ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის განყოფილებას შორის კოოპერაციის თვითეული სახის ცალკეული ორგანიზაციისათვის კრედიტის მიცემის თაობაზე დადებული ხელშეკრულებით დაწესებული ვადების ფარგლებში, სრულიად რუსეთის კოოპერატიულ ბანკის განყოფილებას უფლება აქვს, სათანადო კოოპერატიული სისტემის ცენტრთან შეთანხმებით, დაწესოს, გააგრძელოს და შემამკოს ცალკეული კოოპერატიული ორგანიზაციისათვის კრედიტის მიცემის პირვანდელი ვადები, სესხის მიზნობრივი დანიშნულებისა და სესხის ამღების ფინანსიური და ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით.

6. საერთო ფონდის სახსარის გამოყენების საერთო პირობები და წესი შემდეგია: ყოველ წელს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატები, კოოპერაციისათვის გრძელვადიანი კრედიტის გაცემის საქმეთა კომიტეტებთან ერთად, შეადგენენ საშემოსავლო წყაროებისა და საერთო ფონდის სახსარის კოოპერაციის სხვადასხვა სახეებზე განაწილების საკონტროლო ციფრებს.

აღნიშნულ საკონტროლო ციფრებს დაამტკიცებენ რესპუბლიკანური ეკონომიური თათბირები, რომელნიც განსაზღვრავენ თვითეული კოოპერატიული სისტემისათვის კრედიტის რაოდენობას, და რომელნიც გასცემენ საერთო დირექტივებს ამ სახსარის გამოყენების შესახებ.

თვითეული რესპუბლიკის ეკონომიური თათბირის მიერ განსაზღვრული კოოპერატიული სისტემისათვის დანიშნული გრძელვადიანი კრედიტის თანხების ფარგლებში კოოპერაციის რესპუბლიკანური ცენტრები წარუდგენენ სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის განყოფილებას იმ კოოპერატიული ორგანიზაციების სიას, რომელთაც უნდა მიეცეს კრედიტი; სია განიხილება კოოპერაციისათვის გრძელვადიანი კრედიტის გაცემის საქმეთა კომიტეტის სხდომაზე.

7. ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილებებით საერთო რესპუბლიკანური ფონდიდან, ამიერკავკასიის კოოპერატიული ორგანიზაციების ფინანსიურად მოგვარებისათვის, გამოყოფილი სახსარი სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის რესპუბლიკანურმა განყოფილებებმა—დაუყოვნებლივ უნდა გაგზავნონ სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის საქართველოს განყოფილებასთან არსებულ გრძელვადიანი კრედიტის განყოფილებაში—ჩამოყალიბებისა და დაუყოვნებლივ პირდაპირი დანიშნულებისამებრ გადაცემისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. მე-3 მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფო სახსარის ფონდში გადაცემისა და დატოვების დაწესრილებითი პირობები და ამ სახსარის გამოყენების წესი განისაზღვრება განსაკუთრებული ხელშეკრულებით, რაც უნდა დაიდოს ა/კ-სფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის განყოფილებას შორის—კუთვნილებისამებრ.

9. სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკი მატერიალურად პასუხს აგებს ხაზინის წინაშე საერთო ფონდის სახსარის (მუხ. 3) თავის დროზე ხაზინაში დაბრუნებისათვის—ამ დაბრუნებისათვის დაწესებულ ვადაზე, იმისდა მიუხედავად, გასწორებული ექნება თუ არა ბანკს ფაქტიურად ანგარიშები ამ სახსარიდან სესხის ამა თუ იმ ცალკეულ ამღებთან.

აღნიშნული პასუხისმგებლობისაგან ბანკის განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ საერთო ფონდის ისეთი სესხისათვის, რომელიც გაცემულია ბანკის მიერ, მიუხედავად ამაზე ბანკის მხრით უარის თქმისა, სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის განკარგულებით თვითეულ ცალკე შემთხვევაში.

10. სპეციალური ფონდი შესდგება თვით კოოპერაციისავე სახსარით და ამ ფონდში მიიქცევა:

ა) კოოპერატიული ორგანიზაციის წმინდა მოგების სავალდებულო ყოველწლიური ანარიცხი არა ნაკლებ 5%-სა; ანარიცხის გადადებას აწარმოებენ კოოპერატიული ცენტრი, კოოპერატივების კავშირი, მუშათა ცენტრალური კოოპერატივები, საქალაქო და სატრანსპორტო მომხმარებელი საზოგადოებები;

ბ) ძირეული ქსელის ისეთი კოოპერატივების წმინდა მოგების ანარიცხი, რომელნიც „ა“ პუნქტში არ არიან აღნიშნულნი, ხოლო რომელთაც ეს მოვალეობა დაეკისრებათ მათი გამაერთიანებელი კოოპერატიული ცენტრის დადგენილებით;

შენიშვნა „ა“ დ „ბ“ პუნქტებისა. კოოპერაციის ყოველი ზემდგომი სისტემის კოოპერატიულ ცენტრს დაეკისრება დააწესოს ხოლმე ყოველწლიურად, წინასწარ საოპერაციო წლის დამთავრებისა, მთელი ქსელისათვის სავალდებულო წესით, ანარიცხის ზემდ მიწევნითი პროცენტი.

გ) ის კაპიტალები, რასაც სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის სათანადო რესპუბლიკანურ განყოფილებას გადასცემენ კოოპერატიული ორგანიზაციები მიზნობრივი დანიშნულებით გრძელვადიანი კრედიტის გაცემისათვის;

დ) სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის წმინდა მოგების ანარიცხი მეპაიეთა საერთო კრების საამისო დადგენილებისამებრ;

ე) სხვა შემოსავალი;

ვ) ყოველწლიური პროცენტი, რაც სრულიად რუსეთის კოოპერატიულმა ბანკმა უნდა გადაიხადოს სპეციალურ ფონდებში, ამა მუხლის წინა პუნქტების თანახმად, მიქცეული სახსარის სარგებლობისათვის და, ამა პუნქტის თანახმად; ფონდებში შესასვლელი სახსარის სარგებლობისათვის—ისეთი რაოდენობით, რაც დაწესებულ იქნება კოოპერატიულ ცენტრსა და სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის სათანადო განყოფილებას შორის დადებული ხელშეკრულებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა 1. ამიერკავკასიის კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის მისაცემი კრედიტის სპეციალური ფონდები შეიქმნება სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის საქართველოს განყოფილებაში,—საქართველოს რესპუბლიკანური ფონდების დამოუკიდებლად,—აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკებისათვის მე-10 მუხლის „ა“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ პუნქტებით გათვალისწინებული წყაროების ანალოგიური წყაროებიდან, ამიერკავკასიის კოოპერატიული ორგანზაციების მიერ ფონდების შექმნასთან („ა“ და „ვ“ პუნ.) შეფარდებით და მიზნობრივი დანიშნულების თანახმად („გ“, „დ“ და „ე“ პუნ.).

შენიშვნა 2. ამა მუხლის „ა“ პუნ. გათვალისწინებული ანარიცხი გადაიდება წმინდა მოგებიდან სათანადო კოოპერატიული ორგანიზაციების ბალანსების მიხედვით, დაწყებული ბალანსით 1927 წ. ოქტომბრის 1-თვის.

11. სპეციალური ფონდიდან გარანტიით გაცემული სესხით სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის სასარგებლოდ შემოსული პროცენტიდან სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკი გადარიცხავს საგარანტიო ფონდში არა ნაკლებ ორი პროცენტისა. ეს ანარიცხი შეავსებს საგარანტიო ფონდში საერთო ფონდის სახსარიდან, მე-4 მუხლის თანახმად, გადაცემულ ანარიცხებს.

12. მე-10 მუხ. „ა“ და „ბ“ პუნქტების თანახმად გადადებული ანარიცხები და ამ ანარიცხების პროცენტები (მე-10 მუხ. „ვ“ პუნ.) დარჩება სათანადო ფონდებში მთლად იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე ფონდები იარსებებს, ხოლო არა ნაკლებ საერთო ფონდის არსებობის ვადისა, და დაბრუნებულ უნდა იქნეს მხოლოდ ფონდების ლიკვიდაციის დროს.

13. სპეციალური ფონდების სახსარის გამოყენების საერთო პირობები და წესი შემდეგია:

ყოველ წელს კოოპერაციისათვის გრძელვადიანი კრედიტების გაცემის საქმეთა კომიტეტები, სათანადო კოოპერატიული სისტემის სათავეში მდგარ ცენტრთან შეთანხმებით, შეადგენენ სპეციალური ფონდის შემოსავლის საკონტროლო ციფრებისა და თანხების დახაჯვის წლიური გეგმის პროექტს. წლიური გეგმის ფარგლებში კომიტეტები შეადგენენ საკასრო გეგმებს—კვარტალურსა და თვიურს.

სპეციალური ფონდების სახსარს გაანაწილებს კომიტეტი სათანადო სისტემის კოოპერატიული ცენტრის მიერ წარდგენილი საორიენტო სიების მიხედვით.

შენიშვნა. სპეციალურ ფონდებში ამიერკავკასიის კოოპერატიული ორგანიზაციებისაგან შემოსასვლელი თანხების საკონტროლო ციფრებსა და სპეციალური ფონდების სახსართა განაწილებას შეადგენენ ამიერკავკასიის სათანადო კოოპერატიული ცენტრები და სრულიდ რუსეთის კოოპერატიული ბანკის საქართველოს განყოფილება.

14. ამიერკავკასიის კოოპერატიული ორგანიზაციების ფინანსიურად მოგვარებისათვის სპეციალური რესპუბლიკანური ფონდებიდან გამოყოფილი სახსარი დაუყოვნებლივ უნდა გადაირიცხოს სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის საქართველოს განყოფილებასთან არსებულ გრძელვადიან კრედიტის განყოფილებაში—ჩამოსაყალიბებლად და პირდაპირი დანიშნულებისამებრ წასამართავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკი მატერიალურად პასუხს აგებს სათანადო კოოპერატიული ცენტრების წინაშე მათ მიერ სპეციალურ ფონდებში შეტანილი სახსარის დაცვისათვის, იმის მიუხედავად, ექნება თუ არა ბანკს ფაქტიურად ანგარიში გასწორებული სესხის ამა თუ იმ ცალკეულ ამღებთან.

ამ პასუხისმგებლობისაგან ბანკის განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ სპეციალური ფონდის ისეთი სესხისათვის, რომელიც გაცემულია ბანკის მიერ, მუხედავად ამაზე ბანკის მხრით უარისთქმისა, სათანადო კოოპერატიული ცენტრის გამგეობის დადგენილებით.

16. ის ზარალი, რაც შეიძლება მოუვიდეს სრულიად რუსეთის კოოპერატიულ ბანკს საერთო და სპეციალური ფონდების სახსარის ოპერაციებზე, გარდა ამ ფონდებიდან ბანკის პასუხისმგებლობის გარეშე გაცემული სესხთან გამოწვეული ზარალისა, დაიფარება განსაკუთრებული საგარანტიო ფონდიდან, ხოლო, უკეთუ იგი საკმარისი არ იქნება, ბანკის სათადარიგო კაპიტალიდან.

ამ სესხით გამოწვეული ზარალი, რაც გაცემულია ბანკის პასუხისმგებლობის გარეშე, დაიფარება მარტოოდენ იმ ფონდიდან, საიდანაც სესხი გაიცა.

17. საერთო და სპეციალური ფონდებიდან კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის გრძელვადიანი სესხის გაცემას განახორციელებენ გრძელვადიანი კრედიტის განყოფილებანი, რომელნიც დაარსდებიან სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის განყოფილებასთან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ თვითეულ რესპუბლიკაში.

გრძელვადიანი კრედიტის თვითეულ განყოფილებას აქვს თავისი დამოუკიდებელი ბალანსი, და მისი სახსარი არ შეიძლება მიქცეულ იქნეს ბანკის ზარალის დასაფარავად, რაც გამოწვეული იქნება სხვა მისი ოპერაციებით.

18. გრძელვადიანი კრედიტის განყოფილებებთან დაარსდებიან კოოპერაციისათვის გძრძელვადიანი კრედიტის გაცემის საქმეთა კომიტეტები.

19. აღნიშნული კომიტეტების შედგენილობაში შედიან წარმომადგენელნი ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა, სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის განყოფილებისა, კოოპერატიული საბჭოს ან მისი თანაბარი სხვა საკოოპერატივთაშორისო ორგანიზაციისა და თითო წარმომადგენელი უწყებული რესპუბლიკის თვითეული კოოპერატიული სისტემისა. კომიტეტის თავმჯდომარედ არის სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის რესპუბლიკანური განყოფილების მმართველი ან სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის გამგეობის მიერ განსაკუთრებით საამისოდ უფლებამოსილი პირი.

შენიშვნა. იმ საკითხების განხილვის დროს, რომლებიც ამიერკავკასიის კოოპერატიულ ორგანიზაციებს შეეხება, ისინი მიიწვევიან სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის საქართველოს განყოფილებასთან არსებული, კოოპერაციისათვის გრძელვადიანი კრედიტის გაცემის საქმეთა კომიტეტის სხდომაზე გადამწყვეტი ხმის უფლებით.

20. გრძელვადიანი კრედიტის კომიტეტის ფუნქციებში, მე-6 და 13 მუხლებით გათვალისწინებული საკითხების გარდა, აგრეთვე შედის:

ა) გრძელვადიანი კრედიტის განყოფილების მუშაობის წლიური, კვარტალური და თვიური გეგმების განხილვა და დამტკიცება;

№ 10 ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ბ) გრძელვადიანი კრედიტის განყოფილების მოხსენებების განხილვა სესხის ამა თუ იმ ცალკეულ ამღებთა ფინანსიური და ეკონომიური მდგომარეობისა, მათთვის მისაცემი კრედიტის რაოდენობისა, ვადებისა და სხვა პირობების შესახებ, აგრეთვე ყველა იმ საკითხის განხილვა, რაც ფონდების ოპერაციების გამო აღიძვრის;

გ) გრძელვადიანი კრედიტის განყოფილების წარდგენის განხილვა და დამტკიცება ფონდის სახსარის, ამა დებულების მე-6 და 13 მუხლისამებრ, განაწილების შესახებ (სესხის ამღებთა სიების განხილვა და დამტკიცება და მათთვის მისაცემი თანხების განსაზღვრა).

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს უფლება აქვს, განაცხადოს-რა კომიტეტის სხდომაზე თავისი განსაკუთრებული აზრი საერთო ფონდიდან ამა თუ იმ სესხის გაცემის შესახებ, სამი დღის განმავლობაში განაპროტესტოს მიღებული გადაწყვეტილება რეპუბლიკანურ ეკონომიურ თათბირში, გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებით, ვიდრე საკითხს ეკონომიური საბჭო გადასწყვეტდეს.

21. საერთო და სპეციალური ფონდების სახსარიდან სესხის გაცემას საკრედიტო-კოოპერატიული ორგანიზაციების ძირითადი და სპეციალური კაპიტალებისათვის სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკი აწარმოებს ამა დებულების თანახმად, რისთვისაც მხედველობაში მიიღებს „კოოპერატიული კრედიტის“ 1927 წლის იანვრის 18-ს დებულებით (სსრკ კან. კრ. 1927 წ. მე-4 №-რი, მუხ. 44) გათვალისწინებულ ინსტრუქციებს შრომისა და თავდაცვის საბჭოსას.

22. საერთო ფონდის სახსარიდან გაცემული სესხის გადახდევინებას აწარმოებენ ფინანსთა სახალხო კომისარიტის ადგილობრივი ორგანოები უდავო წესით, სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის განყოფილების სათანადო წარდგენის თანახმად.

სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის განყოფილების მიერ დადებული [illegible]ის მიხედვით- სპეციალური ფონდის სახსარიდან გაცემული სესხის გადახდევინება მოხდება სასამართლოს ბრძანების გაცემის წესით.

[illegible] ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 102 №-ში 1928 წ. მაისის 5-ს.

საქართველოს საბჭომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 1347. დაიბეჭდა 100C.